


რესურსები



ფიზიკის
ლაბორატორია



Apple iOS University
Developer Program-ის
ლიცენზია



რობოტიკისა და
ელექტრონიკის სკოლა
UG Limes




სახსრავლო ცენტრი
UG Lemondo Trainings

საერთაშორისო
აკადემიები



საქართველოს უნივერსიტეტი

📍 77, მ.კოსტავას ქუჩა, თბილისი 0171, საქართველო
🌐 www.ug.edu.ge
☎ 2 55 22 22



ინფორმატიკის, ინჟინერიისა და მათემატიკის სკოლა



რატომ საერთაშორისო უნივერსიტეტი

საქართველოს უნივერსიტეტი გამორჩეულია უმაღლესი ხარისხის, მომთხოვნი საგანმანათლებლო პროცესითა და ისეთი ტიპის თანამედროვე ინფრასტრუქტურით, რომელშიც ადამიანი ხარისხიან განათლებასთან ერთად პრაქტიკულ უნარებსაც ეუფლება. სწორედ ამიტომ, საქართველოს უნივერსიტეტი ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტი, რომლის კურსდამთავრებული დასაქმების რეალური პერსპექტივით არის უზრუნველყოფილი. საქართველოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ლაღად და მყარად გრძნობენ თავს კონკურენტულ გარემოში.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი წარმოადგენს მაღალკვალიფიციურ, კრეატიულ და ენთუზიაზმით აღსავსე პროფესიონალებისაგან შემდგარ გუნდს, რომელიც მზად არის აღზარდოს აუცილებელი ცოდნით, უნარებითა და ღირებულებებით აღჭურვილი ადამიანი. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტში არსებულ მულტიკულტურულ გარემოში ყალიბდება ჰუმანური ღირებულებების მქონე მოაზროვნე, განათლებული პიროვნება, რომელიც თავისუფლად უმკლავდება დღევანდელ სამყაროში არსებულ გამოწვევებს.

საქართველოს უნივერსიტეტი ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტია, რომლის მიზანი თითოეული სტუდენტის პიროვნული განვითარება და მისი, როგორც მაღალი დონის პროფესიონალის ჩამოყალიბებაა. სწორედ ამიტომ, ჩვენი კურსდამთავრებული მოთხოვნადაა თანამედროვე შრომით ბაზარზე, რასაც მათი დასაქმების უმაღლესი სტატისტიკური მაჩვენებელი ადასტურებს.



ქეთი ელიაშვილი - ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული

ეს სურათი გადავიღე ირლანდიაში, სადაც Trimble R10 ჯიპიეს ანტენა მიჭირავს და დედამიწის თანამგზავრიდან მოსული სიგნალებით კოორდინატებს ვიღებ. როგორ მივადრწიე აქამდე? ყველაფერი საქართველოს უნივერსიტეტში დაიწყო. 2009 წელს ჩავაბარე საქართველოს უნივერსიტეტის ინფორმატიკის ფაკულტეტზე. ეს არის უნივერსიტეტი, რომელიც გამოირჩევა სწავლის მაღალი ხარისხითა და დისციპლინით, სწორედ ამიტომ, მაგისტრატურაც ამავე უნივერსიტეტში გავაგრძელე.

მაგისტრატურის პირველი სემესტრის დამთავრების შემდეგ ნ თვიან პრაქტიკაზე მიმიღეს გერმანიაში, მანქანების მწარმოებელ ფირმა „აუდი“-ში, პროექტ მენეჯმენტის განხრით, კერძოდ, საწარმოო პროცესების მონიტორინგის გაუმჯობესებისა და მონიტორინგისთვის ახალი პროგრამული პაკეტების დანერგვისთვის. შემდეგ ერასმუსით მოვხვდი დუბლინის ტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც შევიცვალე პროფესიული პროფილი და დავამთავრე მაგისტრატურა გეოლოგიაში ინჟინერიის განხრით. თეზისის წერის პერიოდშივე ვიპოვე სამსახური ამავე განხრით და უკვე ერთ წელზე მეტია ვმუშაობ ირლანდიაში ტოპოგრაფიკულ კომპანიაში.

”

პროგრამები

საბაკალავრო

- ინფორმატიკა
- მათემატიკა
- ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერია (ქართ/ინგ)
- ინჟინერიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა



სამაგისტრო

- გამოყენებითი მეცნიერება

- ინფორმატიკა

სადოქტორო

- ზუსტი, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული მეცნიერება



გლობალური წინსვლის პირისპირ

ინფორმატიკის, ინჟინერიისა და მათემატიკის სკოლა სტუდენტებს სთავაზობს ცოდნის მიღებას თანამედროვე საინფორმაციო, კომპიუტერული, საინჟინრო და ფუნდამენტური მეცნიერებების მიმართულებებით. სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ, ამ პროგრამების ფარგლებში შეისწავლონ კომპიუტერული მეცნიერებების, მათემატიკის, ფიზიკისა და ინჟინერიის საფუძვლები, დაეუფლონ პროგრამების თანამედროვე ენებს, შეისწავლონ საინჟინრო, ფიზიკური და მათემატიკური პრობლემების ამოხსნის თეორიული და რაოდენობრივი მეთოდები, განვიტარონ მეცნიერული ანალიზისა და ინოვაციური აზროვნების უნარები.

სკოლას გააჩნია მჭიდრო სამეცნიერო კავშირი მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან (CERN-Geneva, JNRI-Dubna, P. PARC-Tokai, TH-Zurich, Stockholm University, KTH Royal Institute of Technology, Humboldt-University of Berlin).

